განმარტებითი ბარათი

„სააქციო საზოგადოების - საპარტნიორო ფონდის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საქართველოს კანონის პროექტზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონპროექტის მიღების მიზეზს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დღეისთვის მოქმედი ”სააქციო საზოგადოების -საპარტნიორო ფონდის შესახებ” საქართველოს კანონი (შემდგომში - კანონი) განსაზღვრავს რა პროექტის დაფინანსების სახელმძღვანელო პრინციპებს, გამორიცხავს ფონდის მიერ უძრავ ქონებაში ინვესტირების პროექტებს. შესაბამისად წარმოდგენილი ცვლილებით იგეგმება ფონდის საქმიანობის გავრცელება ასევე უძრავ ქონებასთან დაკავშირებულ საინვესტიციო პროექტებზე, რაც საჭიროებს შესაბამისი ცვლილებების განხორციელებას კანონში.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია ფონდის საქმიანობის მარეგულირებელი ნორმების დაზუსტება .

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ცვლილების თანახმად ფონდი თავისი საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელებს ”მეწარმეთა შესახებ” საქართველოს კანონით, ”საქართველოს სამოქალაქო კოდექსითა” და საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე ნორმატიული აქტებით, თუ ამ კანონით ან ფონდის წესდებით სხვა რამ არ იქნება გათვალისწინებული. შესაბმისად, ფონდს ცალსახად შეეძლება ისარგებლოს სააქციო საზოგადოებისთვის საქართველოს კანონმდებლობით მინიჭებული და ამ კანონით აუკრძალავი უფლებით. ფონდი განიხილავს უძრავ ქონებაში ინვესტირებასთან დაკავშირებულ პროექტებს. ფონდის დაფინანსების წყაროთა ჩამონათვალს ემატება ფონდის დამფუძნებლის შენატანები ფონდის კაპიტალში, ხოლო პრივატიზაციის შედეგად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტში მიღბული შემოსავლები აღარ იქნება ფონდის დაფინანსების წყარო.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებითი დაფინანსების გამოყოფას;

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის სასემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფო ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის ზრდას;

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვი ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილის ცვლილებას.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულება:

კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოს მიერ ახალი ფნინასური ვალდებულების აღებას.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური სედეგები იმ პირთათვის, რომელტა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმეება:

კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ფინანსურ შედეგს.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პირობები)

პროექტი არ ითვალისწინებს გადასახადის მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრას და შესაბამისად არ ადგენს მისი განსაზღვრის წესს.

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

პროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებს

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს;

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან:

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივ საერთაშორისო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის სემუშავევაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონპროექტის შემუშავებაში ამ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ორგანიზაცია/დაწესებულებებს და ექსპერტებს მონაწილეობა არ მიუღიათ.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაცია (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი:

კანონის პროექტის ავტორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ზურაბ ბუცხრიკიძე და მიხეილ ცქიტიშვილი.

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი:

კანონის პროექტის ინიციატორები არიან საქართველოს პარლამენტის წევრები ზურაბ ბუცხრიკიძე და მიხეილ ცქიტიშვილი.